პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1971 წ.
№ 123 (4373)
22 ივნისი, სამშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

XXIII

## სპარტაკიადის დღიური

თბილისის ბაზებზე დამთავრდა მოსწავლეთა XXIII რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში და პირადი პირველობა ჩოგბურთში. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს.

**მხატვრულ ტანვარჯიშში** გუნდური პირველობა მოიგო თბილისის ნაკრებმა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: 2. ქუთაისი, 3. აფხაზეთი, 4. აჭარა, 5. რუსთავი. სპორტის ოსტატის პროგრამით მოასპარეზეთა შორის ყველას აჯობა თბილისელმა მ. ვიშნიაკოვამ. მან 45,3 ქულა დააგროვა, რაც სპორტის ოსტატის ნორმატივს შეესაბამება. II ადგილის მფლობელი, ქუთაისელი ნ. ქათამაძეც ოსტატის ნორმატივს შესწვდა — 45,0 ქულა. III ადგილზეა მ. სიმონიანი (თბილისი) —44,7. ოსტატობის კანდიდატთა შორის პრიზიორთა სამეული ასეთია: 1. ა. რომანოვიჩი (აფხაზეთი) — 39,4 ქულა, 2. ლ. შიიანი (აჭარა) — 38,6, 3. რ. დირიკონი (ქუთაისი) — —38,05.

**ჩოგბურთელთა** პირად ასპარეზობაში თავი ისახელა თბილისელმა მოსწავლემ მ. ელერდაშვილმა: მან სამი I ადგილი მოიპოვა — ერთეულებში, წყვილებში (თბილისელ ხ. კეკელიასთან ერთად) და შერეულ წყვილებში (თბილისელ გ. აბრამიძესთან ერთად). გოგონათა ერთეულებში II ადგილზე გავიდა ი. მირიმანოვა (თბილისი), III— კეკელია. გოგონათა წყვილებში II ადგილი წილად ხვდათ მირიმანოვას და ლ. კრუშევსკაიას (აფხაზეთი), III — მ. ბოგდანოვასა და თ. ფალავანდიშვილს (თბილისი). შერეულ წყვილებში II ადგილზე გავიდნენ კეკელია და მ. ფირცხალავა (თბილისი), III — მირიმანოვა და ი. ორჯონიკიძე (თბილისი). ჭაბუკთა ერთეულებში პრიზიორები ასე განაწილდნენ: 1. აბრამიძე, 2. ი. დიბრინი (აჭარა), 3. ფირცხალავა. პრიზიორები ჭაბუკთა წყვილებში: 1. ა. გეგეჭკორი, ხ. უზუნიანი (აფხაზეთი), 2. ორჯონიკიძე, ფირცხალავა, 3. დიბრინი, აბრამიძე.



გუშინწინ თბილისის ველოტრეკზე დამთავრდა საქართველოსა და კუბის სპორტსმენთა ამხანაგური შეჯიბრება. მასპინძლებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს, მაგრამ ამჟამად ეს როდია მთავარი: საქმე ისაა, რომ ამ შეხვედრით საფუძველი ჩაეყარა საქართველოსა და თავისუფლების კუნძულის ველოსიპედისტთა მეგობრობას, მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთობის კიდევ ერთ ლამაზ ფურცელს.

სურათზე: სპრინტერთა შეჯიბრების მონაწილენი ა. სვანიძე და ხ. ლესკაი დიდი სისწრაფით მიჰქრიან ფინიშისკენ.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## სარეკორდო ჩემპიონატი...
## ურეკორდებოდ

ბულგარეთის დედაქალაქის „უნივერსიადის“ ულამაზეს დარბაზში ასპარეზობა დაიწყეს ევროპის საიუბილეო, XXX ჩემპიონატის მონაწილე ძალოსნებმა.

შეჯიბრებაში მონაწილეობს 23 ქვეყნის 150-მდე ათლეტი, რაც სარეკორდოა კონტინენტის პირველობების ისტორიაში. სოფიის ფიცარნაგზე პირველნი გამოვიდნენ უმჩატესი წონის ათლეტები. გაიმარჯვა პოლონელმა ზ. სმალცეჟმა — 332,5 კგ (110+97,5+125). გამარჯვებულს 5 კგ-ით ჩამორჩა უნგრელი შ. ხოლცრაიტერი. III ადგილზეა ბულგარელი მ. მუსტაფოვი — 305 კგ. ამ წონის საბჭოთა სპორტსმენი, ლვოველი ა. გნატოვი გუნდის მწვრთნელებმა შემადგენლობაში არ შეიყვანეს. როგორც ჩანს, რომელიმე მომდევნო წონაში ისინი ორი საბჭოთა ძალოსნის გამოყვანას აპირებენ.

20 ივნისს ფიცარნაგზე მჩატე წონის ათლეტები გამოვიდნენ. თავიდანვე აშკარა გახდა, რომ ფავორიტები უნგრული ძალოსნობის ვეტერანი ი. ფიოლდი, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი, პერმელი გ. ჩეტინი და პოლონელი ვ. შოლტისეკი იქნებოდნენ. გაიმარჯვა უნგრელმა — 367,5 კგ (125+105+137,5). მას 12,5 კგ-ით ჩამორჩა საბჭოთა ათლეტი. III ადგილზეა შოლტისეკი — 350 კგ.

დედამიწის უღონიერესი ადამიანი, საბჭოთა გოლიათი ვ. ალექსეევი, რომლის ჩასვლასაც სოფიაში მოუთმენლად ელიან, ბულგარეთის დედაქალაქში მხოლოდ 24 ივნისს ჩავა. ამას წინათ ალექსეევმა განაცხადა, რომ კონტინენტის პირველობაში გამარჯვებისთვის საჭირო იქნება სამჭიდში 627,5 — 630 კგ-ის ჩვენება. ეს ნიშნავს, რომ დამყარდება ახალი მსოფლიო რეკორდი სამჭიდში. იმედია, საბჭოთა ძალოსანი არ უღალატებს ჩვეულებას — ყოველი შეჯიბრება მსოფლიო რეკორდით დაამშვენოს.

ჩემპიონატის დაწყებამდე მოეწყო ძალოსნობის ევროპული ფედერაციის კონგრესი. მიიღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. კერძოდ, დამტკიცდა ფედერაციის ბიუროს გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა ათლეტს ი. ტალტსს 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაუბრუნდეს. როგორც ცნობილია, ეს მაღალი წოდება ტალტსს უკანონოდ ჩამოართვა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ზოგიერთმა საქმოსანმა კოლუმბუსში (აშშ).

1974 წლის კონტინენტის ჩემპიონატს იწვევს იტალია, ხოლო 1975 წლის ასპარეზობას — მოსკოვი, რომელიც ერთდროულად მსოფლიო ჩემპიონატსაც უმასპინძლებს. 1976 წელს კონტინენტის ძალოსნების მისაღებად ემზადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

სოფიაში თავი მოიყარა სხვადასხვა ქვეყნის 100-ზე მეტმა ჟურნალისტმა. მათი უმრავლესობის აზრითაც გუნდური შეჯიბრების უდავო ფავორიტია სსრ კავშირი, რომელიც მძაფრ კონკურენციას უნდა ელოდეს პოლონელი და უნგრელი ძალოსნებისგან.

21 ივნისს გვიან ღამით ასპარეზობა დაამთავრეს ქვემსუბუქი წონის ძალოსნებმა. საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდა თბილისელი დ. შანიძე, რომელსაც სეზონის საუკეთესო შედეგი (395 კგ) აქვს მსოფლიოში.

## წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებით სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა: **ჭადრაკში** — გ. გაჩეჩილაძეს (თბილისი, „სპარტაკი“).

• • •

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **სახტუნდო ხრომლაში**— ნ. ჯანაშიას (თბილისი, მონკავშირი); **ტყვიის სროლაში** — ი. გალოგრეს, ვ. როდიონოვს (თბილისი, „დინამო“), თ. ლაკიას (თბილისი, „ბურევესტნიკი“), **მშვილდოსნობაში**, — გ. დავითაშვილს, ო. ჭეჟინაძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), ა. კაჟიანს (თბილისი, „დინამო“); **სამბოში** — გ. მაზანაშვილს (გორი, „კოლმეურნე“), **კლასიკურ ჭიდაობაში** — ო. ეგაძეს (თბილისი, „დინამო“), ზ. ქორიძეს, დ. გვანცელაძეს (თბილისი, „სპარტაკი“).

• • •

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — ჯ. გუთნიაშვილს (კასპი, „კოლმეურნე“), დ. რევაზიშვილს (საგარეჯო, „კოლმეურნე“), გ. გენგიურს (გორი, „კოლმეურნე“), ბ. სულაქველიძეს, ა. ხუციშვილს, ა. ლიპარტიაშვილს, თ. გუჩმაზაშვილს (თბილისი, ასკ); **სამბოში** — გ. თედიაშვილს (თბილისი, ასკ); **კლასიკურ ჭიდაობაში**— ნ. მიროშნიკოვს (თბილისი, ასკ); **ჭადრაკში** — ნ. შოგირაძეს (ზუგდიდი, „სპარტაკი“).

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

⊙ **ბერლინი**, 21 ივნისი. გდრ-ის ჩემპიონმა — დრეზდენის „დინამომ“ თავისი ქვეყნის თასიც მოიგო. ფინალურ მატჩში ანგარიშით 2:1 სძლია ბერლინელ თანაკლუბელებს.

⊙ **ვარშავა**, 21 ივნისი. ზაბჟეს „გურნიკმა“ მეცხრედ მოიხვეჭა პოლონეთის ჩემპიონის სახელი.

⊙ **ბელგრადი**, 21 ივნისი. იუგოსლავიის ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე სპლიტის „ჰაიდუკმა“ ოქროს მედლები გაინაღდა — ანგარიშით 4:3 დაამარცხა ბელგრადის „პარტიზანი“.

⊙ **ვენა**, 21 ივნისი. ავსტრიის ფეხბურთის ისტორიაში ქვეყნის ჩემპიონი მეორედ გახდა გუნდი, რომელიც ვენიდან არ გახლავთ: ესაა ინსბრუკის „ვაკერი“.

⊙ **შტუტგარტი**, 21 ივნისი. გფრის თასის გათამაშების გადამწყვეტ მატჩში მიუნხენის „ბაიერნმა“ სძლია „კიოლნს“ — 2:1. გამარჯვების გოლი მიუნხენელებმა დამატებითი დროის 118-ე წუთზე გაიტანეს.

## ახალი ამბები

● **კიშინიოვი**, 20 ივნისი. ადგილობრივი მოტოტრასა ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება ევროპაში. სწორედ აქ გაიმართა მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის VI ეტაპი „500-ანების“ კლასში. სტარტზე გამოვიდნენ 8 ქვეყნის წარმომადგენლები. საუკეთესონი იყვნენ შვედები ა. ბრენტი და ა. იონსენი.

● **ტარტუ**, 20 ივნისი. კალათბურთელ ვაჟთა ტრადიციულმა ტურნირმა გაზეთ „ედასის“ პრიზზე დიდი ინტერესი გამოიწვია. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ლატვიისა და ესტონეთის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს ესტონელებმა — 96:85.

● **ტალინი**, 20 ივნისი. აქ დამთავრდა ესტონეთისა და შვეციის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი ათჭიდში. გუნდურ ჩათვლაში მასპინძლებმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს — 2380 ქულით აჯობეს სტუმრებს. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო შვედი ლ. ჰედმარკი — 7861 ქულა.

● **მოსკოვი**, 20 ივნისი. მოსკოვის X სპარტაკიადის პროგრამით მოასპარეზე მძლეოსანთა შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოვიდა სსრ კავშირის ექსრეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ვ. ლიახოვი, რომელმაც ამჯერად 62,36 მ აჩვენა. ა. ივანოვამ ბირთვი 18,61 მეტრზე ჰკრა. სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა ტ. ვოლკოვამ (ტალიშევა) — 624 სმ. ნ. ბესფამილნაიამ 100 მ 11,4 წამში გაირბინა.

● **ბუდაპეშტი**, 20 ივნისი. მეგობრული არმიების კალათბურთელ ვაჟთა V ჩემპიონატი საბჭოთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა: 6 კოლექტივის შეჯიბრებაში მან 10 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები — 9 ქულა, ხოლო III — პოლონელები — 8. ტურნირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა უნგრელი ბანა, რომელმაც თავის გუნდს 111 ქულა შესძინა.

● **ვილნიუსი**, 20 ივნისი. ადგილობრივი „ჟალგირისის“ სტადიონზე დღეს ფინიში ჰქონდა ბალტიის მრავალდღიან ველორბოლა „მეგობრობას“, რომლის მონაწილეთა ასაკიც 22 წელს არ აღემატება. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა სსრ კავშირის „დინამოს“ გუნდის წევრმა გ. კომნატოვმა, ხოლო გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო სსრ კავშირის ნაკრები. გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის მრბოლელებმა 11 დღის განმავლობაში პოლონეთისა და ლიტვის გზებზე თითქმის 1300 კმ დაფარეს. ბოლო ეტაპზე (ზარასაი — ვილნიუსი, 150 კმ) ლიდერები ხშირად ცვლიდნენ ერთმანეთს, ფინიშის ხაზი კი პირველმა გადაკვეთა კომნატოვმა, რომელმაც ბოლო მომენტში აჯობა პოლონეთის ჩრდილოეთის სავოევოდოების ნაკრების წევრს ტ. მიტნიკს. გამარჯვებულის საერთო დროა 28:19.59, II ადგილზე გასული მიტნიკისა კი 28:22.16. III ადგილი დაიკავა მ. გერკემ (გდრ) — 28:22.25. რბოლის თავდაპირველი ლიდერი ო. ტუსუმხანოვი (სსრ კავშირის ნაკრები) IV ადგილზე აღმოჩნდა — 28:23.58. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირის ნაკრები — 86:47.02, „დინამოს“ ნაკრები — 86:50.16, პოლონეთის ჩრდილოეთის სავოევოდოების ნაკრები—86:53.39, პოლონეთის ნაკრები — 86:55.49, ბელორუსიის ნაკრები — 87:01.11.

## ახალი ამბები

# ჩემპიონატი, პრიზიორები და მცირე არითმეტიკა

მადრიდში დამთავრდა ევროპის მოკრივეთა მორიგი, XIX ჩემპიონატი. ვინაიდან ცენტრალური ტელევიზიით ფინალური ბრძოლების რეპორტაჟს მილიონობით კრივის მოყვარული ადევნებდა თვალს, მათს დაწვრილებით აღწერას არ შევუდგებით. გთავაზობთ ცნობებს ევროპული ჩემპიონატების ისტორიიდან. ვფიქრობთ, მათ მკითხველები ინტერესით გაეცნობიან, მით უმეტეს, რომ ადრე ასეთი მონაცემები ჩვენს პრესაში არ დაბეჭდილა.

ევროპის მოკრივეთა I ჩემპიონატი ჩატარდა სტოკჰოლმში 1925 წელს. ოქროს მედლებისთვის მაშინ 10 ქვეყნის 45 სპორტსმენი იბრძოდა (8 წონით კატეგორიაში). მომდევნო წლებში გაიზარდა ტურნირში მონაწილე ქვეყნებისა და სპორტსმენთა რაოდენობა, გაიზარდა წონითი კატეგორიების რიცხვიც: 1951 წლიდან ოქროს მედლები 10 წონაში თამაშდებოდა, 1969 წლიდან — თერთმეტში.

გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც აღნიშნულია ჩემპიონატების ჩატარების თარიღები, ადგილები, ქვეყნების მონაწილეთა და წონითი კატეგორიების რაოდენობა:

| წელი | ადგილი | ქვეყანა | მონაწილე | წონა |
|---|---|---|---|---|
| 1925 | სტოკჰოლმი | 10 | 45 | 8 |
| 1927 | ბერლინი | 13 | 53 | 8 |
| 1930 | ბუდაპეშტი | 12 | 66 | 8 |
| 1934 | ბუდაპეშტი | 15 | 88 | 8 |
| 1937 | მილანი | 14 | 90 | 8 |
| 1939 | დუბლინი | 10 | 59 | 8 |
| 1947 | დუბლინი | 16 | 96 | 8 |
| 1949 | ოსლო | 15 | 97 | 8 |
| 1951 | მილანი | 20 | 133 | 10 |
| 1953 | ვარშავა | 19 | 119 | 10 |
| 1955 | ბერლინი | 24 | 153 | 10 |
| 1957 | პრაღა | 22 | 149 | 10 |
| 1959 | ლუცერნი | 24 | 180 | 10 |
| 1961 | ბელგრადი | 21 | 146 | 10 |
| 1963 | მოსკოვი | 18 | 133 | 10 |
| 1965 | ბერლინი | 24 | 172 | 10 |
| 1967 | რომი | 26 | 171 | 10 |
| 1969 | ბუქარესტი | 25 | 186 | 11 |
| 1971 | მადრიდი | 27 | 226 | 11 |

ალბათ შენიშნეთ, რომ წლევანდელი ტურნირი სარეკორდო იყო როგორც ქვეყნების, ისე მონაწილეთა რაოდენობით.

1925 წლიდან მოყოლებული, სულ 19 ევროპული ჩემპიონატი ჩატარდა. საინტერესოა, ამ ხნის მანძილზე რომელმა ქვეყანამ მიიღო ოქროს ყველაზე მეტი მედალი.

სსრ კავშირი — 39, პოლონეთი — 27, უნგრეთი — 22, იტალია — 19, გფრ —11, შვეცია — 11, გერმანია — 9, ინგლისი — 9, რუმინეთი —6, დანია — 4, საფრანგეთი — 4, ირლანდია — 4, ჩეხოსლოვაკია — 3, ბელგია — 2, ესპანეთი — 2, გდრ — 2, ავსტრია — 1, ფინეთი — 1, ჰოლანდია — 1, ნორვეგია — 1, შოტლანდია — 1, იუგოსლავია — 1, ესტონეთი — 1.

ახლა კი ორიოდე სიტყვა მადრიდის XIX ჩემპიონატის გუნდურ შედეგებზე. I ადგილი დაისაკუთრა რუმინეთის გუნდმა, რომელსაც არც ერთი ჩემპიონი არ ჰყავს, სამაგიეროდ, 9 მოკრივითაა წარმოდგენილი პრიზიორთა შორის. II-III ადგილები გაიყვეს სსრ კავშირმა და უნგრეთმა. ევროპის ჩემპიონატში III ადგილს ორივე დამარცხებულ ნახევარფინალისტს აძლევენ, ამიტომ ბრინჯაოს მედლების რაოდენობა ერთი-ორად აღემატება ოქროსა და ვერცხლის მედლების რიცხვს. ჩვენ შევეცადეთ დაგვეხარისხებინა გუნდები დაჯილდოებულთა მედლების რაოდენობით და ასეთი სურათი მივიღეთ (ჩვენი კლასიფიკაცია სრულიადაც არ ასახავს საბოლოო გუნდური მაჩვენებლების ოფიციალურ ვერსიას):

| | ოქრო | ვერცხ. | ბრინჯ. |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 1 | 1 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 3 |
| გდრ | 1 | 2 | 1 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | — |
| ესპანეთი | 1 | — | 1 |
| რუმინეთი | — | 4 | 5 |
| გფრ | — | 1 | — |
| ირლანდია | — | — | 3 |
| ინგლისი | — | — | 2 |
| დანია | — | — | 2 |
| იტალია | — | — | 1 |
| თურქეთი | — | — | 1 |
| ფინეთი | — | — | 1 |

და კიდევ ორიოდე სიტყვა ზოგიერთ ჩემპიონზე. ყველაზე მეტად იუბილარებად თავს გრძნობენ უნგრელი გედო (პირველი უმჩატესი) და საბჭოთა სპორტსმენი ტრეგუბოვი (პირველი საშუალო), რომლებმაც შეინარჩუნეს ჩემპიონის ტიტული. დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონთა ტოტალური ცვლა მოხდა. ქების ღირსია უნგრელი კაიდიც (მეორე ქვესაშუალო), რომელმაც 8 წლის შემდეგ დაიბრუნა ჩემპიონობა (მაშინ კაიდი მსუბუქ წონაში გამოდიოდა).

ახლა კი გავეცნოთ XIX ჩემპიონატის პრიზიორთა სიას:

**პირველი უმჩატესი.** 1. გედო (უნგრეთი), 2. მიხაი (რუმინეთი), 3. ესკუდერო (ესპანეთი) და როჟეკი (პოლონეთი).

**მეორე უმჩატესი.** 1. როდრიგესი (ესპანეთი), 2. ბლაჟინსკი (პოლონეთი), 3. მაკლაფლინი (ირლანდია) და გრუესკუ (რუმინეთი).

**მჩატე.** 1. ბადერი (უნგრეთი). 2. მელნიკოვი (სსრკ), 3. დაულინგი (ირლანდია) და დუმიტრესკუ (რუმინეთი).

**ქვემსუბუქი.** 1. ტომჩიკი (პოლონეთი), 2. ბოტაში (უნგრეთი), 3. პომეტკუ (რუმინეთი) და მაკკარტი (ირლანდია).

**მსუბუქი.** 1. შჩეპანსკი (პოლონეთი), 2. ვასილე (რუმინეთი), 3. ხრომოვი (სსრ კავშირი) და ორბანი (უნგრეთი).

**პირველი ქვესაშუალო.** 1. ბაიერი (გდრ), 2. კუცოვი (რუმინეთი), 3. კინგველი (ინგლისი) და სივებაკი (დანია).

**მეორე ქვესაშუალო.** 1. კაიდი (უნგრეთი), 2. ვოლკე (გდრ), 3. სანდალი (თურქეთი) და ლასანდრო (იტალია).

**პირველი საშუალო.** 1. ტრეგუბოვი (სსრკ), 2. ბელიჩი (იუგოსლავია), 3. დიერფი (რუმინეთი) და რუდკოვსკი (პოლონეთი).

**მეორე საშუალო.** 1. იუოცავიჩუსი (სსრკ), 2. ნასტასე (რუმინეთი), 3. ბრაუსკე (გდრ) და ვირტანენი (ფინეთი).

**ქვემძიმე.** 1. პარლოვი (იუგოსლავია), 2. ზაქსე (გდრ), 3. იენსენი (დანია) და შტუმპფი (რუმინეთი).

**მძიმე.** 1. ჩერნიშოვი (სსრკ), 2. ჰუსინგი (გფრ), 3. სტივენსი (ინგლისი) და დენდერისი (პოლონეთი).

**სურათებზე** (მარცხნიდან): ევროპის ჩემპიონები ვ. ტრეგუბოვი, ი. იუოციავიჩუსი, ვ. ჩერნიშოვი.

# მოგონებათა სპორტული რტო

უანგარო კაცმა ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს იღვაწა, 87 წელს მიაღწია, მხნეობა, ჭაბუკური სიხალისე შეინარჩუნა და სიბერის ჟამს მკურნალის სტეთოსკოპს მემუარისტის კალამი შეაშველა. ასე იშვა დიმიტრი ჯავახიშვილის „მოგონებათა ფურცლები", რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა. ცხოვრებისა და მოღვაწეობის გრძელ გზაზე ამ კაცს ბევრი რამ უნახავს, განუცდია და, ავტორისავე ფრთიანი სიტყვით რომ ვთქვათ, სიცოცხლის ფართოდ ტოტებგაშლილი ხე განვლილის მოგონებით დახუნძლულია. ავტორი ერთ-ერთი ქართველი გამოჩენილი თერაპევტი-კურორტოლოგია, ხოლო, როგორც ვიცით, მედიცინა შორს როდი განსდგომია სპორტს. სპორტსმენთა ზღვისპირა საწვრთნელი ბაზების დამკვიდრებაში დ. ჯავახიშვილსაც შეუტანია წვლილი. ექიმი ფიზკულტურელის უახლოესი მრჩეველი და დაშავებისას მისი პირველი მშველელია. მოგონებათა ბევრი ფურცელი ქართველი კაცის ფიზიკური კულტურის წარსულსაც აშუქებს და ამდენად ეს წიგნი სასარგებლოა სპორტის ზოგიერთი სახეობის პატივისმცემლებისთვისაც. კერძოდ, საყურადღებოა საჭიდაო სარბიელსა და საფარიკაო ბილიკზე ავტორის მიერ ნანახი ამბების ლაკონური თხრობა.

ვკითხულობთ მოგონებათა ამ ნაწილს და ავტორის სიყმაწვილის დროინდელი ასპარეზობა მისი დღევრძელობის პირველი მარცვალი და ფუძე გვგონია.

— დეიდაჩემის ქმარი ტატო დიდებულიძე, — იხსენებს პროფესორი, — ხალისიანი ადამიანი იყო. როცა დრო ჰქონდა, გამიყვანდა ეზოში და იქ ჩემ ტოლ-ბიჭებთან მაჭიდავებდა.

ქომაგი ტატო გამამხნევებელი შეძახილებით აღაფრთოვანებდა ნორჩ მოასპარეზეს და ისიც ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა. ფალავნობას რომ გამოიჩენდა, სახე კმაყოფილების ღიმილით გაებადრებოდა.

დ. ჯავახიშვილი დადიოდა დღეობებზე, სადაც ყველაზე მიმზიდველი სანახაობა ქართული ჭიდაობა იყო. გორში, რუისში, არბოში, მეჯვრისხევსა და ქართლის სხვა სოფლებში განთქმულ ფალავანთა საყვარელი საჭიდაო კალოები დღესაც ხალხმრავალია. მას ძევერაშიც უნახავს თანასოფლელების — ვახო ლაღიაშვილის, ჯახო მელქუაშვილისა და სხვების ორთაბრძოლები. ბევრი მოჭიდავის შერკინებას დასწრებია კახეთშიც. ავტორის ხსოვნაში არ ამოშლილა 1900 წლის გაზაფხულის საზეიმო დღე, როცა მისმა ახლობელმა, ავჭალის რკინიგზის სადგურის უფროსმა ოქრო ჯავახიშვილმა გლდანში წაიყვანა. განთქმული ფალავნები კულა გლდანელი და სალაღობო მეტსახელით „ჯიბგირად" (რაც ხუმრობით შეარქვეს, ქალაქურ ტანსაცმელში გამოწყობილი რომ მოევლინა სოფელს) ცნობილი გიორგი ოდიშვილი იხილა. პირველის სახელი ქართველი კაცის ფიზიკური ძალის დაფასების სიმბოლო-სინონიმად გადაიქცა და იგი ჯერ კიდევ მაშინ მკაფიოდ აღიბეჭდა ხევსურულ ლექსში:

უნდ დაიკვეხნას, კულაო,
ბიჭამა შენისთანამა
გამახვე საჭიდაოდა,
ძალმა მიშველა ხთისამა.

დაიწყვი ჭიდაობაი,
კეცა დაიწყა მიწამა.
თორმეტი მხვილი გალლაზე,
წვრილმა იდინა ვითამა!

ხულ სახმელეთომ გაიგა,
ხალხმა იმ შენის მხრისამა
აქათ კუთხეზე გაიგეს
გოგოებმ ქისტებისამა.

შემაუარე, კულაო,
როგორც ჭარაი ტყისაო,
მალ მეექცევი ზეითა,
როგორც კალმახი წყლისაო.

ჯავახიშვილის მოგზაურობის დროსაც აქებდნენ ხალხური ლექსის მთავარ გმირს. წიგნში მოყვანილი ერთი საინტერესო ამბით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უაზრო აზარტული როდი იყო გლდანური ჭიდაობა. ვაჟკაცურ შერკინებას არასოდეს შეცვლიდნენ ქედმაღლობითა და კუთხური კინკლაობით. დაბრძენებული ადამიანები, თუ ასპარეზობა არასასურველ მიმართულებას მიიღებდა, ახალგაზრდობის აღსაზრდელად იყენებდნენ შექმნილ ვითარებას. როგორც ავტორი წერს, კულა გლდანელმა მოჭიდავეები თბილისიდან ჩამოიყვანა. ფართო წრეში მათ პირისპირ წარსდგნენ გლდანელი მოასპარეზენიც. მხარეთა გადაჭარბებული მღელვარება თავიდანვე იგრძნობოდა. ხალხური საკრავების მელოდიებით ექსტაზში შესულმა გ. ოდიშვილმა წრეს შემოურბინა და დაიძახა: კულა გლდანელის მოყვანილი ხალხიდან ვისაც უნდა გამოვიდეს, თუ მსურველი არავინ არის, თვითონ კულა გამობრძანდესო. ამ დროსო, — დასძენს დ. ჯავახიშვილი, — გლდანელთაგან ერთი სპეტაკწვერიანი მოხუცი გამოვიდა და „ჯიბგირისკენ" წავიდა. მამამისიაო, გადმომჩურჩულა ოქრომ. მოხუცმა შვილს აღშფოთებით სტაცა მკლავში ხელი და დატუქსა: კულა გლდანელისა და მისი მოყვანილი ფალავნების გამოწვევა არ გაბედო, თორემ მე და ჩემმა ღმერთმა...

რა იგულისხმება მრავალი წერტილის, ქარაგმული გამოთქმის მიღმა? მოჭიდავეთა სოფლის ძველმა სტუმარმა განმიმარტა:

— მოხუცმა შეატყო, წინასწარ ჩატარებული ორმხრივი დაზვერვა ამახინჯებდა ასპარეზობის მიზნებსა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შეხვედრების მშვიდობიან დამთავრებას მიაღწია.

ინტერესით იკითხება აგრეთვე ნაამბობი ავტორის ტურისტულ მოგზაურობაზე. დ. ჯავახიშვილის აზრით (და იგი პრაქტიკული გამოცდილებით შეუმუშავებია!) მოგზაურობა, ხალხში გასვლა, თუნდაც რამდენიმე კვირით, ათასი წიგნის წაკითხვას უდრის. იგი ადუღაბებს მოლაშქრის ჯანს, ჭკუა-გონებას უმახვილებს, სულს უფაქიზებს, ამხნევებს. პირველად რეზო გაბაშვილთან (მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი) და მომავალ ექიმ გიგო აბდუშელიშვილთან ერთად სტუდენტმა დიმიტრი ჯავახიშვილმა თვენახევარი იმოგზაურა. სტარტი აიღეს ავჭალაში, ფეხით მოიარეს თიანეთის მაზრა და კახეთი. ალაზნის ველის ნახვამ ქვეყნის სხვა კუთხეების შემოვლის სურვილი აღუძრა. და აი, ორი შემდგომი გაზაფხული ხევსურეთში გაატარა. 1903 წელს შატილში ჩავიდა გენო ქობულაშვილთან ერთად. მისი თანამგზავრი სპორტის მგზნებარე მოყვარული იყო. გენოს თავკაცობით იმ დროს თბილისში დოღი იმართებოდა ხოლმე. ხალხურ სანახაობათა ამ თაყვანისმცემლის ინიციატივით მასპინძლებმა გამართეს სანიმუშო ფარიკაობა, რომლის მიმდინარეობას ავტორი ცოცხლად აღწერს და არჩევს მოფარიკავეების მიერ ხმლის გამოყენების ოსტატობას. მის ფხიზელ თვალს არც ასპარეზობის ხინჯი გამოჰპარვია: — გახურდა ფარიკაობა, — ამბობს დ. ჯავახიშვილი, — მეწინავე მოხუცმა უცებ ხელი აღმართა. ერთ-ერთ მონაწილეს ხმალი ხელიდან გააგდებინა და იმ ხმალს ფეხი დაადგა.

— დიაც ყოფილხარ! — შეხძახა მან. მოხუცის თვალებმა ისე გაჰკვესეს, თითქოს ახლა ხმლის პირები იმ თვალებში შეეჯახნენო.

„მოგონებათა ფურცლებს" მრავალი მკითხველი გამოეხმაურა, რომელთა შორის სპორტსმენებიც არიან. ავტორისადმი მიწერილ ბარათებში ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ წიგნის გამოცემის გამო.

ამას წინათ დ. ჯავახიშვილს ეწვია საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფარიკაობის, ველოსპორტისა და ხუთჭიდის კათედრის გამგე აკაკი მეიფარიანი. მასპინძელი არ დაზარდა უფრო ფართოდ მოეთხრო ძველ მოგზაურობათა დროს ნანახი და განცდილი ამბები.

ასეთი საინტერესო აღმოჩნდა პროფესორის „მოგონებათა ფურცლები".

**ი. ჯავახიშვილი.**

* * *

**სურათზე:** დ. ჯავახიშვილი ესაუბრება სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ა. მეიფარიანს.

ვ. გენგიურის ფოტო.

## ფიზკულტურის კოლექტივებში

# პირველი ნაბიჯები

ც. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის აღდგენისთანავე თვალსაჩინოდ გააქტიურდა სექციური მუშაობა. კათედრასთან შეიქმნა სტუდენტ-აქტივისტთა საიმედო ბირთვი, რომელმაც კონსერვატორიის სპორტულ ცხოვრებაში დიდი გამოცოცხლება შეიტანა. კათედრის ოთახის კედლებზე კარგა ხნის შემდეგ კვლავ გამოჩნდა სპორტულ ბრძოლებში მოპოვებული სამახსოვრო ვიმპელები, თასები და სიგელები...

სპორტული სექციების მუშაობაში ხალისით ჩაებნენ პედაგოგებიც. მაგალითად, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის უფროსი მასწავლებელი ე. ბელქანია, პედაგოგი ე. ჭოხონელიძე (ფოლკლორის კათედრა), კომპოზიტორი, დოცენტი ნ. გუდიაშვილი, პედაგოგი რ. ტაკიძე (საფორტეპიანო კათედრა), დოცენტი ნ. ჯაფარიძე (საოპერო მომზადების კათედრა), შ. რაზმაძე (სასწავლო ნაწილის გამგე) და სხვები, რომლებიც შეჯიბრებებში საუკეთესო სტუდენტ სპორტსმენებსაც კი უწევენ მეტოქეობას.

1970-71 სასწავლო წელს სექციები ჩამოყალიბდა შვიდ სახეობაში, რომლებშიც 130 სტუდენტი მეცადინეობს. ამ პერიოდში ჩატარებულ 14 შეჯიბრებაში ბევრმა მოასპარეზემ შეასრულა სხვადასხვა თანრიგის ნორმატივები.

გაზაფხულისთვის კონსერვატორიის კომკავშირის კომიტეტის (მდივანი მ. ოდიშარია) თაოსნობით ჩამოყალიბდა ფეხბურთის სექცია. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ დიდი დახმარება გაუწია თაოსნებს და დღეს ამ სექციის წევრები უკვე წარმატებით გამოდიან ქალაქის პირველობაში.

ეს პირველი წარმატებები კომკავშირის კომიტეტის, სტუდენტთა აქტივის, პედაგოგების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის (გამგე ი. ავალიშვილი) ერთობლივი მონდომების ნაყოფია. მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს კონსერვატორიის რექტორატისა და პარტორგანიზაციის დაინტერესებაც სტუდენტთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის უფრო ფართოდ გაშლაში.

**ა. ბიჭიკაშვილი.**

## სსრ კავშირის პირველობა

### მატჩები, გოლები, ფაქტები

19 და 20 ივნისს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

კიევში ფრედ ითამაშეს ადგილობრივმა „დინამომ" და მოსკოვის „ტორპედომ" — 0:0.

20 ივნისს მასპინძლებმა ძლიერად ითამაშეს სტუმრების წინააღმდეგ და ექვს მატჩში 4 გამარჯვება მოიპოვეს. დანარჩენი ორი შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

ყველაზე შედეგიანი გამოდგა მოსკოვის „დინამოს" შეხვედრა როსტოვის არმიელებთან. დინამოელებმა ძლიერად ითამაშეს — 4:1. 2 ბურთის ავტორი იყო კოჟემიაკინი, ერთისა — კოზლოვი, ხოლო 1 ბურთი თავის კარში მოათავსა არმიელთა მცველმა ანტონოვმა. როსტოველთა მხრივ გოლი გაიტანა ესკოვმა.

„არარატმა" შინ მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო გამარჯვება „შახტიორთან". ერთადერთი ბურთი სტუმრების კარში მე-80 წუთზე გაიტანა მარქაროვმა (ეს მისი 93-ე გოლია ჩემპიონატებში).

გაუჭირდა მოგება (2:1) „ნევთჩისაც", რომელიც „ზარიას" მასპინძლობდა. ანგარიში გახსნა ვოროშილოვგრადელმა სემიონოვმა. საპასუხო გოლის ავტორი იყო შევჩენკო, ხოლო გადამწყვეტისა — სტეკოლნიკოვი.

„ყაირათმა" ფრედ ითამაშა „სპარტაკთან". აქაც წინ იყვნენ სტუმრები (კისელიოვი) და ალმაათელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ წაგებას დააღწიეს თავი (დოლმატოვი).

ანგარიში არ გახსნილა ტაშკენტის მატჩში, სადაც თამაშობდნენ „ფახთაქორი" და მინსკის „დინამო" — 0:0. მასპინძლები რამდენიმეჯერ იხსნა მათმა ახალმა მეკარემ გოვოროვმა.

* * *

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი კვლავინდებურად მინსკელი ე. მალოფეევია — 7 ბურთი. ბაქოელი ვ. შევჩენკოს ანგარიშზეა 6 გოლი.

### უმაღლესი ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არარატი" (ერევანი) | 11 | 6 | 4 | 1 | 14—4 | 16 |
| „დინამო" (კიევი) | 10 | 6 | 4 | 0 | 10—1 | 16 |
| „ნევთჩი" (ბაქო) | 11 | 5 | 4 | 2 | 19—12 | 14 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 10 | 4 | 6 | 0 | 11—5 | 14 |
| „ყაირათი" (ალმა-ათა) | 11 | 5 | 3 | 3 | 14—12 | 13 |
| ცსკა | 11 | 4 | 4 | 3 | 12—9 | 12 |
| „დინამო" (თბილისი) | 10 | 5 | 2 | 3 | 8—9 | 12 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 11 | 3 | 5 | 3 | 10—8 | 11 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 11 | 2 | 6 | 3 | 11—12 | 10 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 11 | 3 | 4 | 4 | 11—14 | 10 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 11 | 1 | 7 | 3 | 3—5 | 9 |
| „დინამო" (მინსკი) | 11 | 1 | 6 | 4 | 11—15 | 8 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 11 | 2 | 4 | 5 | 6—16 | 8 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 11 | 1 | 5 | 5 | 5—12 | 7 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 10 | 3 | 0 | 7 | 5—8 | 6 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 11 | 1 | 4 | 6 | 9—17 | 6 |

# 15 წუთი 90-დან...

**თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 20 ივნისი.**

**„დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 2:1 (1:0).**

**„დინამო":** ურუშაძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, შელიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მაჩაიძე, მეტრეველი (ყიფიანი), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

**„ზენიტი":** პრონინი, ბულავინი, ლოხოვი, გოლუბევი, ზაგუმენიხი, სადირინი, კოხი (ნაუმოვი), ტრემბაჩი (ხრომჩენკოვი), ივანოვი, გონჩაროვი, ფოკინი.

**მსაჯი ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).**

„ზენიტის" სატურნირო მდგომარეობა 20 ივნისისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ არასახარბიელო იყო: სულ 7 ქულა ათ თამაშში, სახიფათო ადგილი აუტსაიდერთა შორის, მხოლოდ 4 გატანილი გოლი... გათამაშების პირველი ნახევარი კი დასასრულს უახლოვდება. ასეთ პირობებში, გინდა, არ გინდა, იძულებული ხარ ითამაშო ისე, როგორც არასდროს, გამოავლინო ყველაფერი, რაც შეგიძლია და შეიძლება — ცოტა მეტიც.

და „ზენიტმაც" სწორედ ასე ითამაშა — თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმით (ამინდიც შესაფერისი, „ლენინგრადული" იყო — წვიმიანი), ძალების უკიდურესი დაძაბვით, მთელი მონდომებით. როგორც მატჩის შემდეგ განაცხადა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ე. გორიანსკიმ, „ზენიტს" მანამდეც ასეთ დონეზე რომ ეთამაშა, მას ექნებოდა არა 7, არამედ 10-11 ქულა...

მატჩის მსვლელობაში ლენინგრადელები თავს არ ზოგავდნენ, რომ ეხსნათ თუნდაც ქულა. საამისოდ ისინი ჯერ კარგად ორგანიზებულ კონტრიერიშებს ახორციელებდნენ, რომლის მახვილზეც აქტიურად, ძალიან სახიფათოდ მოქმედებდნენ გონჩაროვი და კოხი, ხოლო შემდეგ, დინამოელთა თავდასხმის აშკარა პასიურობა ნათელი რომ გახდა, „ზენიტს" მთელი პერიოდები ჰქონდა, როცა საფუძვლიანად ფლობდა ინიციატივას, შეტევაში გადაჰყავდა დიდი ძალები და დინამოელთა დაცვას მძიმე დატვირთვით უხდებოდა ბრძოლის წარმოება. ბევრჯერ კარის ბედი ბეწვზე ეკიდა და თავი გამოიჩინა ურუშაძემ, რომელმაც რამდენიმეჯერ იხსნა თავისი გუნდი უკიდურესად ძნელ ვითარებაში.

როგორ უნდა გავშიფროთ ყოველივე ზემოთქმული? რატომ გაგვიჭირდა ასე მატჩის მოგება აუტსაიდერთან, რატომ ვიდექით ქულის დაკარგვის საშიშროების წინაშე გუნდთან, რომელსაც მანამდე ათ მატჩში სულ 4 ბურთი ჰქონდა გატანილი?

გუნდის გაჭირვებაში უპირველესი დამნაშავეა თავდასხმა. რა შეიძლება ითქვას კარგი ჩვენს ფორვარდებზე, როცა „ზენიტთან" მატჩის წინ მათი აქტივი შეადგენდა სულ 5 ბურთს 9 თამაშში (მეექვსე გოლის ავტორი ნახევარმცველი მაჩაიძე გახლავთ). სტატისტიკოსები ალბათ გამოთვლიან, რომ ასეთი „გვალვა" თბილისის „დინამოს" თავდასხმას იშვიათად მოსწრებია. თითო მატჩში ჩვენს შემტევ მოთამაშეებს გაუტანიათ 3-5 და მეტი ბურთი. ეს გვახსოვს, მაგრამ ერთ მატჩზე საშუალოდ ერთი გოლი რომ არ მოდიოდეს, ეს კი მეტისმეტია. საქმე გვაქვს ჩვენი ტრადიციების აშკარად საწინააღმდეგო მოვლენასთან!

რა შეგვიძლია კარგი ვთქვათ თბილისის „დინამოს" თავდამსხმელებზე, როცა 20 ივნისისთვის მათ ყველას ერთად უფრო ნაკლები ბურთი ჰქონდათ გატანილი, ვიდრე ერთ კაცს, მინსკელთა ბომბარდირს მალოფეევს? შედეგიანი შეტევის გარეშე თბილისის „დინამოს" წარმატება წარმოუდგენელია. ეს კარგად უნდა ახსოვდეთ მათ, ვინც ბ. პაიჭაძის, ა. ღოღობერიძის, გ. ჯეჯელავას, ა. ხარბედიას, ზ. კალოევის, თ. მელაშვილის, ი. დათუნაშვილისა და სხვა წინაპრების ტრადიციების გამგრძელებლადაა მოწოდებული კოლექტივში.

გაიხსენეთ განვლილი მატჩის მსვლელობა. პირველი ტაიმი ისე დამთავრდა, რომ „დინამოს" თავდამსხმელებს ხეირიანი არაფერი შეუქმნიათ შეტევის ზონაში. ჩვენ ვლაპარაკობთ არა ტაქტიკის საკითხებზე, ამა თუ იმ კომბინაციის სიავკარგეზე, არამედ წინა ხაზის მოთამაშეთა სრულ უმოქმედობაზე. ბურთი სულ ცოტა დროითაც არ ჩერდებოდა წინ, იერიშის დროს და „ზენიტის" დაცვა პირველივე შეტაკებისას იგერიებდა მას. „დინამოს" თავდამსხმელები არ იხსნებოდნენ გადაცემის მისაღებად ღია პოზიციაში, ითქვიფებოდნენ მოპირდაპირე მცველთა შორის, სისტემატურად კარგავდნენ ბურთს, ვერ ასრულებდნენ ელემენტარულ მანევრებს. ასე გრძელდებოდა დიდხანს, რეგულარულად და მხოლოდ მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და სათამაშო დროც სულ რაღაც 15 წუთი დარჩა, თავდამსხმელებმა ხელი გამოიღეს და „გამოჩნდნენ" მინდორზე გ. და ლ. ნოდიები. მაგრამ 15 წუთი ეყოფა ასეთ მძიმე მატჩებს?

ამიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ თამაშის მთელი სიმძიმე უკანა ხაზების მოთამაშეებს დააწვათ და ანგარიშის გახსნაც ნახევარმცველმა შეძლო. მე-17 წუთზე ბურთი მაჩაიძესთან მოხვდა. ნახევარმცველი მოკლებული იყო საშუალებას რაიმე კომბინაცია გაეთამაშებინა თავდამსხმელებთან, ვინაიდან ისინი ჩაკეტილი იყვნენ, და მან 25 მეტრიდან მოულოდნელად, ძნელი მდგომარეობიდან დაარტყა კარში. პრონინი ვერ მისწვდა ბურთს — 1:0.

ეს გოლი „ზენიტმა" გაქვითა 67-ე წუთზე. სადირინი სწრაფად გავიდა მარჯვენა ფლანგზე და ძლიერად დაარტყა. ბურთი მოხვდა თბილისელთა ერთ-ერთ მცველს, შეიცვალა მიმართულება და გავიდა კარში — 1:1.

დინამოელთა თავდამსხმელები ერთხანს ისევ ინერტულად თამაშობდნენ, მაგრამ მერე მოწესრიგდა მათი ურთიერთმოქმედება, „ზენიტის" კართან შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი და 77-ე წუთზე გ. ნოდიამ პეტრიაშვილის გადაცემით ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში.

ცალკე აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობის მეტად საინტერესო, მონდომებული, მაღალკვალიფიციური თამაში. ჩვენმა დუბლიორებმა თავი გამოიჩინეს „ზენიტთან" და დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 2:0. ბურთები გაიტანეს ილიადიმ და ყიფიანმა.

ზ. ძორძია.

# მეორე წრის კალენდარი

### ივლისი

10. ცსკა — „დინამო" მნ.
15. „ყაირათი" — „კარპატი".
16. ცსკა — „დინამო" კ.
20. „ფახთაქორი" — „კარპატი", „ყაირათი" — „დინამო" კ., „დინამო" თბ. — „დინამო" მნ., „ზარია" — „დინამო" მ., ასკ — „სპარტაკი", „შახტიორი" — „ზენიტი", „ნევთჩი" — ცსკა, „არარატი" — „ტორპედო".
24. „არარატი" — ცსკა, „ფახთაქორი" — „დინამო" კ.
24. სსრ კავშირის თასის ნახევარფინალები.
28. „ტორპედო" — „დინამო" თბ., „ზენიტი" — „ყაირათი", „დინამო" მნ. — „ზარია", „კარპატი" — „არარატი".
29. „დინამო" მ. — „ფახთაქორი", ცსკა — ასკ, „დინამო" კ.— „ნევთჩი".
30. „სპარტაკი" — „შახტიორი".

### აგვისტო

2. ცსკა — „დინამო" თბ., „კარპატი" — „ნევთჩი", „ზენიტი" — „ფახთაქორი".
3. „სპარტაკი" — „ზარია", „დინამო" მნ. — „შახტიორი", „დინამო" მ. — „ყაირათი", „დინამო" კ. — „არარატი".
6. ცსკა — „ფახთაქორი".
7. სსრ კავშირის თასის ფინალი.
8. „კარპატი" — „დინამო" მ.
12. „ტორპედო" — „ყაირათი", „ზარია" — „ზენიტი", „შახტიორი" — „კარპატი".
13. „არარატი" — „დინამო" თბ.
14. ცსკა — „დინამო" მ., „დინამო" კ. — „სპარტაკი".
17. „დინამო" მნ. — „ზენიტი", „ნევთჩი" — „დინამო" თბ., ასკ — „კარპატი".
18. ცსკა — „ყაირათი", „დინამო" კ. — „შახტიორი".
19. „სპარტაკი" — „დინამო" მ.
23. „სპარტაკი" — „არარატი", „დინამო" მნ. — „ნევთჩი", „შახტიორი" — „დინამო" მ., „ფახთაქორი" — „დინამო" თბ., „ზენიტი" — „დინამო" კ., „ყაირათი" — ასკ, „კარპატი" — „ზარია".
28. „სპარტაკი" — „ნევთჩი", „დინამო" კ. — „დინამო" მ., „დინამო" მნ. — „არარატი", „ფახთაქორი" — ასკ, „ზენიტი" — „კარპატი", „ყაირათი" — „დინამო" თბ., ცსკა — „ზარია".
29. „შახტიორი" — „ტორპედო".

### სექტემბერი

2. „დინამო" მ. — „დინამო" მნ., „დინამო" თბ. — „კარპატი", „შახტიორი" — ცსკა, „ნევთჩი" — „ტორპედო", „არარატი" — ასკ, „ზარია" — „დინამო" კ.
6. ცსკა — „ტორპედო", „ზარია" — „შახტიორი", „ნევთჩი" — „ყაირათი", „არარატი" — „ფახთაქორი", „ზენიტი" — „დინამო" თბ., „კარპატი" — „სპარტაკი", „დინამო" კ. — „დინამო" მნ., ასკ — „დინამო" მ.
10. „სპარტაკი" — ცსკა, „დინამო" თბ. — „შახტიორი", „ნევთჩი" — „არარატი".
11. „ტორპედო" — „დინამო" მ.
14. „ფახთაქორი" — „ნევთჩი".
16. „ტორპედო" — „ზენიტი".
19. ასკ — „ზარია".
24. „ზენიტი" — ასკ.
28. „ზარია" — „არარატი", „დინამო" კ. — „კარპატი", „შახტიორი" — „ნევთჩი", „ყაირათი" — „ფახთაქორი", „ტორპედო" — ასკ.

### ოქტომბერი

2. „ტორპედო" — „დინამო" კ.
3. „ზარია" — „ნევთჩი", „შახტიორი" — „არარატი", „სპარტაკი" — „დინამო" მნ., „დინამო" თბ. — ასკ, „ზენიტი" — ცსკა.
8. ასკ — „ნევთჩი", „დინამო" მ. — „დინამო" თბ., „დინამო" მნ. — „კარპატი", „ზენიტი"— „სპარტაკი".
10. „ყაირათი" — „არარატი".
12. „ტორპედო" — „ფახთაქორი".
16. „დინამო" მ. — „ზენიტი", „დინამო" მნ. — „ყაირათი", „სპარტაკი" — „ფახთაქორი", „ზარია" — „ტორპედო", ასკ — „შახტიორი".
21. ასკ — „დინამო" კ., „დინამო" მნ. — „ფახთაქორი", „კარპატი" — „ტორპედო".
26. „ტორპედო" — „დინამო" მნ., „არარატი" — „ზენიტი", „ფახთაქორი" — „შახტიორი", „ყაირათი" — „ზარია".
31. „კარპატი" — ცსკა, „დინამო" თბ. — „დინამო" კ., „არარატი" — „დინამო" მ., „ნევთჩი" — „ზენიტი", „ფახთაქორი" — „ზარია", „ყაირათი" — „შახტიორი", ასკ — „დინამო" მნ., „ტორპედო" — „სპარტაკი".

### ნოემბერი

8. „სპარტაკი" — „ყაირათი", „დინამო" თბ. — „ზარია", „ნევთჩი" — „დინამო" მ.
12. „დინამო" თბ. — „სპარტაკი".

## ვეტერანთა მატჩი

განვლილ შაბათს თბილისის „დინამოს" ვეტერანმა ფეხბურთელებმა საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ვეტერანთა გუნდთან. საინტერესო თამაში მოიგეს დინამოელებმა — 4:3. გუშინ მათ ამხანაგური შეხვედრა ჰქონდათ ქუთაისში.

# ლარსენს იმედი აქვს

სულ ახლახან მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ახლა ნახევარფინალების დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა. 3 ივლისს სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნება ტ. პეტროსიან — ვ. კორჩნოის მატჩი და კენჭისყრაც ჩატარდება, ხოლო მეორე დღეს ლიტერატორთა ცენტრალური სახლის დიდ დარბაზში მეტოქენი 1 პარტიას გაითამაშებენ.

როგორც ჩანს, ოდნავ დაგვიანებით — 6 ივლისს სტარტს აიღებს რ. ფიშერ (აშშ) — ბ. ლარსენის (დანია) მატჩიც. ჯერჯერობით არ გამოცხადებულა ამ მატჩის გამართვის ადგილი, თუმცა ცნობილია, რომ შეხვედრა მოეწყობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამიდან ერთ-ერთ ქალაქში — დენვერში, ლოს-ანჯელესში ან ნიუ-იორკში.

რით ავხსნათ ის ამბავი, რომ დანიელი მოჭადრაკე თანახმაა ითამაშოს „სხვის მინდორზე"? თითქოს მიღებულია, რომ „საკუთარი კედლების" ფაქტორი უმნიშვნელო არ არის. ამ შემთხვევაში ეს „კედლები" ფიშერს უწყობს ხელს. ნუთუ ლარსენი ასეა დარწმუნებული საკუთარ ძალაში?

დიახ, თუმცა ამერიკელს იგი შესანიშნავ მოჭადრაკედ მიიჩნევს; განსაკუთრებით, მეოთხედფინალური მატჩის შთამბეჭდავი მოგების შემდეგ. ლარსენმა კოპენჰაგენში იუპი-ს სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა: ვგრძნობ, რომ შემიძლია მოვუგო ფიშერს.

— ბობის პოზიციას მთელი ძალით შევუტევ, — განაგრძო დანიელმა. — დარწმუნებული ვარ, ჩვენი შეჯიბრების სტარტზე წაგება წონასწორობიდან გამოიყვანს ფიშერს.

ლარსენმა განაცხადა, აგრეთვე, რომ მას ფიშერის წინააღმდეგ მომზადებული აქვს ორი-სამი ეგრეთ წოდებული საშინაო ნამზადი. ამასთან ლარსენი აღიარებს, რომ ბრძოლა მატჩში ძალიან დაძაბული იქნება, დუელი კი ამაღელვებელი. ახლა იგი თეთრად ათენებს ღამეებს ფიშერის „რეპერტუარის" შესწავლაში.

შეგახსენებთ: ლარსენი 36 წლისაა, ფიშერი — 28 წლისა. ორივე მარტშია დაბადებული. მეტოქენი ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: სამი პარტია ფიშერმა მოიგო, ორი — ლარსენმა. სხვათა შორის, ამერიკელმა კიდევ ერთი პარტია მოუგო ლარსენს. ეს იყო დანიის ტელევიზიით გამოსვლისას. მაგრამ, როგორც ფიშერი ამბობს, ეს პარტია საჩვენებელი იყო და სათვალავში ჩასაგდები არ არის.

ექსპერტების ცნობით, პეტროსიანი და კორჩნოი 23-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. წინაა კორჩნოი — 12:11 (მან 4 პარტია მოიგო, 3 წააგო, 16 ყაიმით დაამთავრა). ამავე დროს, თვითონ კორჩნოი ამბობს, რომ პირად ანგარიშში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლიდერობს. ლენინგრადელი დიდოსტატი ყოველკვირეულ „64"-ში იხსენებს, რომ სინამდვილეში პეტროსიანმა მას ჯერ კიდევ 1946 წელს მოუგო ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატში. გარდა ამისა, 2-დან 1,5 ქულა მოაგროვა სავარჯიშო, „ნახევრად დახურულ", მაგრამ საკმაოდ სერიოზულ ტურნირში, რომელიც სპასკისთან პირველი მატჩის წინ, 1966 წელს გაიმართა. ამრიგად, ჯერჯერობით ანგარიშია 13,5:12,5 მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ.

კორჩნოიც, სხვათა შორის, მარტშია დაბადებული, იგი 40 წლისაა. პეტროსიანი 2 წლით უფროსია. მისი დაბადების დღეა 17 ივნისი.

ვ. ბაბკინი.
(საკდესის კორ.).

ჭადრაკი



# 25 ქალი, 25 ვაჟი

კალათბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა გასული სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა 25-25 უძლიერესი კალათბურთელი ქალისა და ვაჟის სიები.

### ქალები

**უკანა ხაზის მოთამაშენი.** ნ. ზახაროვა, ტ. ლემეხოვა („სპარტაკი“, ლენინგრადი), ვ. დმიტრიევა („დინამო“, მოსკოვი), ა. იანკურნაიტე („კიბირკშტისი“, ვილნიუსი), ლ. გუსევა („სპარტაკი“, მოსკოვი), ტ. ოვეჩკინა („დინამო“, მოსკოვი), ლ. ოსტაპენკო („დინამო“, კიევი), ლ. ბუბჩიკოვა („დინამო“, მოსკოვი), ლ. კუზნეცოვა („სპარტაკი“, მოსკოვის ოლქი), ნ. ფომინიხი („დინამო“, კიევი).

**წინა ხაზის მოთამაშენი.** რ. კურვიაკოვა („სტალი“, დნეპროპეტროვსკი), ლ. ვინჩაიტე („კიბირკშტისი“, ვილნიუსი), ნ. ნაზემბლო („დინამო“, კიევი), ზ. ჩერნიკოვა („სპარტაკი“, ლენინგრადი), გ. ვორონინა („დინამო“, მოსკოვი), ლ. კრესტიანინოვა („ურალმაში“, სვერდლოვსკი), ნ. ფაიზულინაიტე („კიბირკშტისი“, ვილნიუსი), ლ. ბაზარევიჩი („სერპ ი მოლოტი“, მოსკოვი), ე. იაკოვლევა („სპარტაკი“, მოსკოვი), ფ. კოჩერგინა („დინამო“; კიევი).

**ცენტრალური თავდამსხმელები.** ნ. ბილმაერი („სპარტაკი“, მოსკოვის ოლქი), უ. სემიონოვა (ტტტ, რიგა), ტ. კალიაგინა („სპარტაკი“, ლენინგრადი), ლ. შვეცოვა („ურალმაში“, სვერდლოვსკი). გ. რეზცოვა („დინამო“, კიევი).

### ვაჟები

**უკანა ხაზის მოთამაშენი.** ს. ბელოვი (ცსკა), ა. ტამისტე („კალევი“, ტარტუ), ი. ედეშკო, ვ. მილოსერდოვი (ცსკა), ი. ძეიგურსი (ვეფ-ი, რიგა), ო. ზასტუხოვი („დინამო“, მოსკოვი), ა. კრიკუნი („კალევი“, ტარტუ), ზ. საკანდელიძე („დინამო“, თბილისი), კ. სტრელისი (ასკ, რიგა), ლ. ჩხიკვაძე („ბურევესტნიკი“, თბილისი).

**წინა ხაზის მოთამაშენი.** მ. პაულაუსკასი („ჟალგირისი“, კაუნასი), ი. სალუმეტსი, პ. ტომსონი („კალევი“, ტარტუ), ა. სიდიაკინი („დინამო“, მოსკოვი), მ. ქორქია („დინამო“, თბილისი), ა. სოლოგუბი („დინამო“, მოსკოვი), ტ. ფრეიმანისი (ასკ, რიგა), ვ. სოკოლოვი („დინამო“, მოსკოვი), ა. ვალტინი („სტროიტელი“, კიევი), ე. კოვალენკო (ცსკა).

**ცენტრალური თავდამსხმელები.** ა. ბოლოშევი („დინამო“, მოსკოვი), ა. ბელოვი („სპარტაკი“, ლენინგრადი), ს. კოვალენკო („სტროიტელი“, კიევი), ა. ჟარმუხამედოვი (ცსკა), ა. პოლივოდა („სტროიტელი“, კიევი).

### ჩვენი კომენტარი

კალათბურთელთა საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმი ყოველწლიურად ამტკიცებს უძლიერესთა სიებს. ეს თავისებური რეზიუმეა, რომელიც ზუსტად ასახავს კალათბურთელთა მიერ სეზონის მანძილზე გაწეული შრომის შედეგს, მათი ოსტატობის დონეს. ამ მხრივ ფედერაციის პრეზიდიუმის სიები სრულ ჰარმონიაში უნდა იყვეს სეზონის შედეგებთან, თუ, რა თქმა უნდა, საკავშირო ჩემპიონატს კალათბურთელთა ოსტატობის მთავარ საზომად მივიჩნევთ.

წლეულს ქალთა საკავშირო ჩემპიონატი მეცამეტედ მოიგო რიგის ტტტ-მ, გუნდმა, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე წელია სავსებით სამართლიანად ითვლება ევროპისა და მსოფლიოს უძლიერეს საკლუბო კოლექტივად. და აი, ამ კოლექტივიდან უძლიერესთა ოცდახუთეულში მოხვდა მხოლოდ ერთი კალათბურთელი უ. სემიონოვა, ისიც თავისი გიგანტური სიმაღლის წყალობით (213 სმ). საინტერესოა, რა გზით აღწევს ტტტ ასეთ დიდ წარმატებას საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში, თუ არ ჰყავს თუნდაც მეორე ექსტრა-კლასის, ამ სიაში მოხვედრის ღირსი კალათბურთელი?

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: კიევის „დინამო“ უძლიერესთა სიაში 5 კალათბურთელითაა წარმოდგენილი. მაგრამ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა ამ ხუთეულიდან რატომღაც მხოლოდ ნ. ნეზემბლო შეიყვანეს ნაკრების შემადგენლობაში. მართალია, ნაკრების წევრთა შერჩევა მეტწილად მწვრთნელთა სუბიექტური შეხედულებების შესაბამისად ხდება, მაგრამ ოფიციალურ ვერსიასთან სხვაობა მაინც აშკარად საგრძნობია. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფედერაციის სიებსაც ბოლოს და ბოლოს მწვრთნელები ადგენენ, რომლებიც ასევე თავიანთ სუბიექტურ შეხედულებათა შესაბამისად ასახელებენ კანდიდატებს.

ანალოგიური მდგომარეობაა ვაჟებთანაც. წლეულს ჩვენს პრესაში ბევრი საქები სიტყვა დაიწერა ლენინგრადის „სპარტაკის“ თამაშზე. ამ გუნდმა მართლაც დიდ წარმატებას მიაღწია და უძლიერეს კოლექტივებს შორის პირველმა ეჭვის ქვეშ დააყენა ცსკა-ს ჰეგემონიის საკითხი. „სპარტაკი“ მთელი სეზონის მანძილზე ლიდერობდა ჩემპიონატს, „სპარტაკმა“ მოიპოვა არმიელებთან დამატებითი მატჩის უფლება და ღირსეულად დაიმსახურა ვიცე-ჩემპიონის ტიტული. სწორედ ამიტომ გაგვიკვირდა, როცა ფედერაციის სიაში მხოლოდ ერთი სპარტაკელი (ა. ბელოვი) აღმოვაჩინეთ.

როგორია საერთოდ ამ სიებში რესპუბლიკებისა (საფუძვლად ვიღებთ დაყოფის იმ პრინციპს, რაც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებშია მიღებული) და ცალკეული კლუბების წარმომადგენლობა?

### ქალები

ქალაქები, რესპუბლიკები

| | |
|---|---|
| მოსკოვი | — 6 |
| უკრაინა | — 6 |
| რსფსრ | — 5 |
| ლენინგრადი | — 4 |
| ლიტვა | — 3 |
| ლატვია | — 1 |

კლუბები

| | |
|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | — 5 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | — 4 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | — 4 |
| „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) | — 3 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) | — 3 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | — 2 |

მოსკოვის „სპარტაკი“, დნეპროპეტროვსკის „სტალი“, მოსკოვის „სერპ ი მოლოტი“ და რიგის ტტტ თითო კალათბურთელით არიან წარმოდგენილი.

### ვაჟები

ქალაქები, რესპუბლიკები

| | |
|---|---|
| მოსკოვი | — 10 |
| ესტონეთი | — 4 |
| საქართველო | — 3 |
| უკრაინა | — 3 |
| ლატვია | — 3 |
| ლიტვა | — 1 |
| ლენინგრადი | — 1 |

კლუბები

| | |
|---|---|
| ცსკა | — 5 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | — 5 |
| „კალევი“ (ტარტუ) | — 4 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | — 3 |
| „დინამო“ (თბილისი) | — 2 |
| ასკ (რიგა) | — 2 |

რიგის ვეფ-ს, თბილისის „ბურევესტნიკს“, კაუნასის „ჟალგირისსა“ და ლენინგრადის „სპარტაკს“ თითო მოთამაშე ჰყავთ ამ სიაში.

**ნ. ბუბუშვილი.**

# „ფენომენი“ რიშარდ შურკოვსკი

მშვიდობის XXIV ველორბოლის სტარტამდე ორი დღით ადრე საბჭოთა გუნდის მწვრთნელს, ოლიმპიურ ჩემპიონს გ. კაპიტონოვს ვკითხე, მიაჩნია თუ არა შურკოვსკი გამარჯვების პრეტენდენტად?

— „მშვიდობის ველორბოლების“ ისტორიაში ასეთი რამ არ მომხდარა, — თქვა მან. — შეიძლება ზედიზედ ორჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ ასეთ ძნელ მარათონში წარმატების გამეორება მხოლოდ ფენომენს შეუძლია...

ერთი შეხედვით, შურკოვსკი 28-30 წლის კაცი გეგონებათ, ისე კი მხოლოდ 25 წლისაა. მე მას ველაპარაკე ვარშავის აეროდრომზე, სადაც იგი პრაღიდან ჩამოფრინდა რბოლის დამთავრების შემდეგ. სახეზე ჯერ კიდევ აჩნდა გადატანილი ბრძოლისა და ტრავმების კვალი. თან დაღლილი, მოქანცული ჩანდა. რბოლის შესახებ იგი ლაპარაკობს მოკრძალებით, უბრალოდ. ეს მისთვის თითქოს უკვე შესრულებული ძნელი სამუშაოა, ისღა დარჩენია, რომ განვლილ რბოლაზე ლაპარაკის დროს ყველაზე მთავარი არ გამოტოვოს.

— პირველ ეტაპებზე ისეთივე აზრისა ვიყავი, როგორც კაპიტონოვი. მაგრამ შემდეგ, როცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში „ჩავედით“ და ლიდერის ნარინჯისფერი მაისური ჩავიცვი, თითქოს მეორედ დავიბადე. საქმე ის როდია, რომ ჩინებულად ვგრძნობდი თავს. ბიჭებს სჯეროდათ, რომ პრაღაში ფინიშთან პირველი ვიქნებოდი, ყოველი მათგანი საკუთარი ძალების ხარჯზე ჩემი გამარჯვებისთვის „მუშაობდა“. აქ კი მე თავი არ უნდა დამეზოგა.

— საიდან დაიწყო ეს გრძელი გზა?

— შვიდი წლის წინ პირველად მოვსინჯე ძალა ახალგაზრდულ ველორბოლაში. პირველივე სტარტის შემდეგ მწვრთნელისგან გაკვეთილიც მივიღე და „რჩევა-დარიგებაც“. „იქნებ შენთვის ტანვარჯიში სჯობდეს, ჭაბუკო, — მითხრა მან. — შენს მოხდენილ ტანს დააფასებენ და მუსიკალური ნიჭიც გამოგადგება. აქ, გზატკეცილზე კი საჭიროა მხოლოდ შრომა, შრომა და შრომა“. პირველი წარუმატებლობის შემდეგ მაინც არ მივატოვე რბოლის სტარტები და ბოლოს და ბოლოს გავიმარჯვე. ყველაზე მეტად ის მაკვირვებდა, რომ ველოსიპედით ჩემი გატაცების სერიოზულობა არავის სჯეროდა. სხვათა შორის, ჩვენთან ქარხანაში ველოსიპედი სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა, მეც სიამოვნებით გამოვდივარ ქარხნის ნაკრებთან ერთად სავოევოდოს ყველა შეჯიბრებაში.

— რა გეგმები გაქვთ გაისისთვის, შეძლებთ თუ არა შინ, ვროცლავში, მესამე დაფნის გვირგვინის ჩამოტანას?

— სამწუხაროდ, მშვიდობის XXV ველორბოლაში სტარტის აღება არ მომიწევს უკვე ერთი თვის შემდეგ 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის უნდა დავიწყო მზადება, იმედი მაქვს, რომ იქ ოლიმპიურ ჯილდოს მოვიპოვებ. ყოველ შემთხვევაში მე ცდას არ დავაკლებ. 1973 წელს შევეცდები კვლავ გამოვიდე მშვიდობის ველორბოლის სტარტზე.

ამჟამად პოლონეთში ბავშვიც კი უყოყმანოდ გეტყვით, რომ შურკოვსკი ყველაზე კამკამა სპორტული ვარსკვლავია. ყველამ იცის, რომ იგი ქარხანა „დოლმეტში“ მუშაობს, ჰყავს ცოლი და რვა თვის ბიჭი.

შურკოვსკი პირველი პოლონელი სპორტსმენია, რომელიც დაჯილდოებულია იუნესკოს სპეციალური პრიზით — შეჯიბრებაში გამოჩენილი კეთილშობილებისთვის. ეს ამბავი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან რიშარდის ქცევაში მისი სპორტული კრედო ჩანს. ველოსპორტში პოლონეთის ჩემპიონატის დროს შურკოვსკის უმთავრეს მეტოქეს ზ. ხანუშჩიკს ძირითადი და სათადარიგო ველოსიპედები გაუტყდა. შურკოვსკიმ მეტოქეს თავისი სათადარიგო მანქანა მისცა. ხანუშჩიკმა მაშინ ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო.

— ამაში განსაკუთრებული არაფერია, — თქვა შურკოვსკიმ. — ყოველი სპორტსმენი ჩემს ადგილზე ზუსტად ასე უნდა მოქცეულიყო.

ამ სიტყვებში ჩანს მთლიანად შურკოვსკი: თავმდაბალი, მუდამ საკუთარი თავისადმი მომთხოვნი, ამხანაგის დასახმარებლად მუდამ მზად მყოფი.

**ნ. ჟელეზნოვი.**
(საკდესის კორ.).

ვარშავა.

• • •

სურათზე: რ. შურკოვსკი.

# III ადგილზე

გფრ-ის ქალაქ ვოლფსბურგში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ცხენის გაწვრთნაში. გათამაშდა მცირე და საშუალო პრიზები, მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩემპიონის წოდება ამ სახეობებში არავის ენიჭება. მცირე პრიზის გათამაშებაში ლენინგრადელი ი. კიზიმოვი მეექვსე იყო, ხოლო საშუალო პრიზის გათამაშებაში საბჭოთა გუნდმა, ისევე როგორც შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში, II ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა გფრ-ის გუნდმა. III ადგილზეა გდრ-ის ნაკრები.

პირად პირველობაში მოსკოველი ე. პეტუშკოვა მესამე იყო, ი. კალიტა — მეხუთე, ხოლო კიზიმოვი — მეშვიდე. საშუალო პრიზის გათამაშებაში გაიმარჯვეს გფრ-ის წარმომადგენლებმა რ. კლიმკემ და ი. ნეკერმანმა.

საერთო გუნდურ და პირად პირველობაში საბჭოთა მხედრებმა III ადგილები დაიკავეს. გუნდური სამი ადგილი ასე განაწილდა: გფრ, შვეცია, სსრ კავშირი. ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა გფრ-ის სპორტსმენმა ქალმა ლ. ლინზენჰოფმა — 1272 ქულა, II ადგილზეა მისი თანაგუნდელი ნეკერმანი (1212), ხოლო III — ოლიმპიური ჩემპიონი კიზიმოვი — 1198.

# ქულათა მაქსიმუმით

კაუნასი, 20 ივნისი. დღეს აქ დამთავრდა ხელბურთელ ქალთა X საკავშირო ჩემპიონატი. ბოლო ორი ტურის შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (კიევი) — „ტექნოლოგი“ (მინსკი) 18:12, „პეტროგრადეცი“ (ლენინგრადი) — „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) 12:12, „სპარტაკი“ (ბაქო) — „ლუჩი“ (მოსკოვი) 20:11, ბინათმშენებლობის მე-3 კომბინატი (კიევი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 14:11, „სპარტაკი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ბაქო) 10:6, ბინათმშენებლობის მე-3 კომბინატი — „ლუჩი“ 13:12, „ჟალგირისი“ — „კალინინეცი“ 10:7. „პეტროგრადეცისა“ და „ტექნოლოგის“ მატჩი გვიან ღამით დამთავრდა.

სსრ კავშირის ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა კიევის „სპარტაკმა“. კიეველებმა წლევანდელ პირველობაში ქულათა მაქსიმუმი (28) დააგროვეს. II ადგილზეა ბაქოს „სპარტაკი“ — 24, III — მოსკოვის „ლუჩი“ — 15, IV — კიევის ბინათმშენებლობის მე-3 კომბინატის გუნდი — 11, V — კაუნასის „ჟალგირისი“ — 11, VI — სვერდლოვსკის „კალინინეცი“ — 10 ქულა.

ბოლო ტურის წინ მინსკის „ტექნოლოგს“ 6 ქულა ჰქონდა, ხოლო ლენინგრადის „პეტროგრადეცს“ —5. სწორედ ამ გუნდების შეხვედრაში უნდა გარკვეულიყო VII-VIII ადგილების ბედი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის“
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)
სსრ კავშირის
პირველობა
ფეხბურთში

უმაღლესი
ლიგა

„დინამო“ (თბილისი) —
„დინამო“ (მოსკოვი)

22 ივნისი
სათადარიგო შემადგენლობანი

23 ივნისი
ძირითადი შემადგენლობანი
მატჩების დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 22 ივნისს, აბონემენტებზე — 22 ივნისს 12-დან 19 საათამდე, საერთო გაყიდვა — 23 ივნისს 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 07670